№ 8

ხუთშაბათი, 12 იანვარი 1895

1877--1895

# ივერია

№ 8

ხუთშაბათი, 12 იანვარი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ქნეინა ანასტასია ევსევის ასული ჩოლაყაშვილისა და ... აეილ ევსევის ძე სულხანიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასისა დედისა თვისისას, ელისაბედ გერასიმეს ასულის სულხანიშვილისას და სთხოვენ მობრძანდნენ 13 იანვარს, დილის ათს საათზედ. მიცვალებულს თავისს სახლიდგან—ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა—გამოასვენებენ თანდოევის ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ეკკლესიაში, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ და დაასაფლავებენ ხოჯივანქის სომხების სასაფლაოზედ. პანაშვიდი იქმნება გადახდილი ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზედ. (1—664—1)

თავადნი ალექსანდრე, ლევან და სტანისლავ მიხეილის ძენი ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა საყვარლისა მამისა მათისა, მიხეილ დავითის ძის ციციშვილისას, და სთხოვენ მობრძანდნენ სოფელ ზემო-ხვედურეთს 12 ამა იანვარს დღითი ხუთშაბათს მიცვალებულის დასაფლავების დასასწრებლად. (2—655—2)

ძმანი ნიკოლოოზ, ზაქარია, ქრისტეფორე, კონსტანტინე და გიორგი იოსების ძენი მამაცაშვილები დებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 იანვარს, დილის 10 საათზედ კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის დედისა მათისა დ. ს. სოვეტ. მეუღლის ნინო კონსტანტინეს ასულის მამაცაშვილისა. (2—652—2)

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

## გამოფენა

ჩვენის დროისათვის ორის უდიდესის საკვირველებისა

1) ქონდრის კაცები

უყველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

მარკიზ მოლგე, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9^1/_2$ კილ.

მარკიზა ლუიზა, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10^1/_2$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტუუპნი-დანი

რადიკა და დოოდიკა

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა დაიწყება კვირას, 1 იანვრიდგან და ღია იქნება ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი: სკამები 40 კაპ., ფეხზედ დგომით 20 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს. (20—6.—6)

## ტფილისი, 12 იანვარი

—

მკითხველს ეცოდინება, რომ სასამართლო დაწესებულებათა შენობის ...რთხევის დროს, ბ-ნმა იზმაილოვმა ... ყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის სთქვა, რომ სასურველია ჩვენშიაც შემოღებულ იქმნას ნაფიცთა სამართლოო.

ამ სურვილის გამოთქმამ აალაპარაკა ჩვენი გაზეთები: თითქმის ყოველმა გაზეთმა წარმოსთქვა ამის შესახებ ... თვისებური აზრი. გაზეთი „კავკაზი“ საზოგადოდ იმ აზრისაა, რომ ჩვენში ბევრ გვარს ენაზედ ლაპარაკობენ, განათლებულები არ არიან და ამ მიზეზების გამო ნაფიცთა სასამართლო ვერ მოხერხდებაო. ამის წინაამდეგ გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ ამტკიცებს, რომ კავკასიაში მცხოვრებლები კიდეც განათლდნენ და კიდეც ისწავლეს რუსული, ასე რომ ადვილად შესაძლოა ნაფიცთა სასამართლოო.

მე არ შევუდგები იმის გარჩევას, თუ რამდენად სცდება ორივე გაზეთი თავისის აზრების დასაბუთებაში.

საზოგადოდ ჩვენში შემოღებულია როგორიღაც თავისებური—მდაბიური ახსნა სამეცნიერო საგნებისა.

1864 წლის რეფორმების უმთავრესი ცვლილება სასამართლოსი იმაში მდგომარეობდა, რომ რეფორმამ სასამართლო შეუთანხმა საზოგადოების შეხედულობას. მისი ნაკლულევანება ის იყო, რომ სასამართლოს ვერ შეეძლო ყოველთვის საზოგადოების შეხედულობით ეხელმღვანელნა. ამ ნაკლულევანებას, თუ სრულიად არა, შეძლებისადა გვარად მაინც ბოლო მოუღო ახალმა ელემენტმა—ნაფიცთა მსაჯულების შემოღებამ.

1864 წ. რეფორმით ძველ მოსამართლეებთან ერთად კაცის საქციელსა და დანაშაულს სჯიან აგრეთვე 12 ამორჩეულნი და დაფიცებულნი მკვიდრნი. ამ ნაფიცთ მინდობილი აქვთ საქმის მოსმენის შემდეგ გამოუცხადონ მთავრობის მოსამართლეებს, არის თუ არა იმათის აზრით ბრალდებული დასასჯელი. რაკი ეს ნაფიცნი ეტყვიან მოსამართლეებს, ეს კაცი სასჯელის ღირსი არ არისო, მაშინ ცხადადაც რომ იყოს დამტკიცებული დანაშაულობა, ბრალდებული განთავისუფლდება.

მეორე კარგი თვისება ნაფიცთა მსაჯულთა შემოღებისა ის იყო, რომ ნაფიცთა მსაჯულები სასამართლო მოხელენი არ არიან და იმათ უფრო პირუთვნელად შეუძლიანთ გაარჩიონ საქმე. ამის შემდეგ მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ნაფიცთა მსაჯული იმისთვის არ არის დანიშნული, რომ განათლება და ჭკუის აღზრდა შეიტანოს საზოგადოებაში და არც იმიტომ, რომ რუსული ენა გაავრცელოს ჩვენში, როგორც ჰგონია „კავკაზ“-ს. ნაფიც მსაჯულები საჭირო არიან იმისათვის, რომ სასამართლომ უფრო უკეთესად შეასრულოს თავისი დანიშნულება და, რასაკვირველია, იმისი ლაპარაკი, თუ ყველამ რუსული არ იცის, ან ყველანი იურისტები არ არიან და ამიტომ ჩვენში ნაფიც მსაჯულების შემოღება ძნელიაო—უაზრობად უნდა ჩავთვალოთ.

თუ უეჭველია, რომ სასარგებლო ახალი დაწყობილება ცხოვრების ვითარებასთან უნდა იყოს მიგვარებული, ცხადია, იმ გვარი ფაქტორიც, როგორიც არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში შემოღება, უნდა მიეგვაროს ჩვენის ქვეყნის ვითარებას, ჩვენის ქვეყნის მდგომარეობას.

არ შევცდები, ვთქვა, რომ ხსენებულ გაზეთებს სრულიად შეუძლებელი საქმე უკისრიათ: იმათ უნდათ საქმეს ვითარება შეუფერონ და არა ვითარება საქმეს. დამტკიცება არ უნდა, რომ ასეთის სურვილის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია და ეწინააღმდეგება აქამომდე ადამიანთაგან შემოღებულ სამოქმედო წესსა და რიგს.

გ. ი. გძელიშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან დანიშნულ იქმნა საჯაროდ გასყიდვა მამულებისა, რომელთ პატრონთაც ხვედრი ფული არ შეუტანიათ ბანკში ვალის გადასახდელად.

ქალაქის მამულების გასყიდვა იყო დანიშნული 9-ს იანვარს. ამ მამულთაგან მარტო ათიღა გამოცხადდა 9-ს იანვარს გასასყიდად, რადგანაც დანარჩენის სხვა მამულებისა ბანკში შესატანი ფული პატრონებმა გასყიდვამდე შეიტანეს და დაიხსნეს მამულები გასყიდვისაგან. ამ ათს ქალაქის მამულში 9-ს იანვარს გაიყიდა შვიდი და სამი დარჩა ორის კვირის შემდეგ გასასყიდად. სოფლის მამულების საჯარო გასყიდვა დანიშნულ იყო 11-ს იანვარს. ამ მამულთაგან მარტო რვაღა გამოცხადდა გასასყიდად და ამ რვაში 11-ს იანვარს შვიდი გაიყიდა და ერთი დარჩა ორის კვირის შემდეგ გასასყიდად.

*** ფოთიდგან დეპეშით გვაუწყებენ, რომ ფოთის ქალაქის მოურავის მოადგილედ ოც-და-ექვსის ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ ხუთისა, ამორჩეულ იქმნა დიმიტრი ელიზბარისძე დადიანი.

*** ქ. ოდესაში გარდაიცვალა ქართველი კათოლიკე მღვდელი დიმიტრი თუმანიშვილი. განსვენებული დიდხანს იყო ტფილისისა და ქუთაისის კათოლიკეთა ეკკლესიების წინამძღვრად და დიდი პატივისცემაც დაიმსახურა თავისის მრევლისაგან. განსვენებული ჰლექით გარდაიცვალა.

*** გაზ. „ნორდარი“ ამბობს, რომ „ნოვოე ვრემია“-ს საკუთარ ლონდონელი კორესპონდენტის სიტყვით, ამ მოკლე ხანში ლონდონში მომხდარა მიტინგი, რომელზედაც თურმე ირჩეოდა სომხეთის საქმე. სომხებსა ჰსურთ: ჰყავდეთ თავისი დამოუკიდებელი გუბერნატორი ქრისტიანეთაგან, განკერძოებული ადგილობრივი მილიცია, რომელიც უთუოდ ქრისტიანეთაგან უნდა იყოს შემდგარი

## ფელეტონი

—

### ნასწავლია!?

მოთხრობა

(მასწავლებელთა ცხოვრებიდგან)

შემდეგი *)

VI

ქ. „ტ-იეს“ პატარა საზოგადოება მეტის მეტი მხიარული და უზრუნველი იყო. თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღეს იკრიბებოდნენ ხოლმე ერთად და ლხინსა და ქეიფში ატარებდნენ დროსა. ამ საზოგადოების წევრად ჩვენი ანდრიაც ითვლებოდა. და მერე წევრიც წევრსა ჰქვიან. დიდად სასიამოვნო სტუმარი იყო ხოლმე ყველასათვის. და ყველაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა, საქმით თუ არა სიტყვით მაინც. დინჯის აუჩქარებელის ლაპარაკით ანდრიამ პირ-წყლიანი კაცის სახელი დაიმსახურა. ისე წვეულობა არ იქმნებოდა, რომ ანდრია არ დაეპატიჟნათ, სულით და გულით არ გამასპინძლებოდნენ. მისი ქება-დიდება მთელს ქალაქს მოეფინა. ანდრიას განებივრებას სამზღვარი არა ჰქონდა. გაზვიადდა, თავი წაიჭამა, გადიდგულდა და გაამპარტავნდა. ბუზს თავზედ არ ისვამსო, რომ იტყვიან, სწორედ ანდრიაზედ ითქმოდა. ასე მიდიოდა დრო და ანდრია თანდათან მოეწყო, ფულები შეაგროვა, ოჯახისათვის საჭირო ავეჯეულობა იყიდა, ერთის სიტყვით, მოეწყო ისე, რომ „ქვაცა ჰქონდა და კაკალიც“.

— ეხლა-კი ყველაფერი მაქვსო, იტყოდა ხოლმე ანდრია, როდესაც ოცნებისაგან გაბრუებული ოთახში ბოლთის ცემას დაიწყებდა.

— მაშ, რაღა მაკლია? თითქმის არაფერი! მაგრამ არა, მაკლია, მაკლია... ღიმილით და მორცხვად წამოიძახებდა ხოლმე, და ეს ნაკლი გახლავს, უცოლობა. აბა კარგი არ იქმნება, რომ ერთი ლამაზი გოგონა დაცქრიალობდეს ჩემს ოთახებში! მაგრამ ვინ უნდა იყოს ის ადამის გვერდი, რომ მე მხარი დამიმშვენოსო?

ანდრიას წინდაწინვე დასურათებული ჰყავდა თავისს საცოლო. იგი უნდა ყოფილიყო ტანადი, ცისფერა-თვალება, წარმოსადეგი და უეჭველად მდიდარი. ეს უკანასკნელი ღირსება ყველას ერჩივნა ანდრიას. და აი ეხლა, როდესაც ცოლის შერთვის ოცნებაში იყო, თვალ-წინ წარმოუდგა ვიღაც ტანადი, ლურჯი ჟუჟუნა თვალებიანი არსება, რომელსაც გული და სული შეუწირავს ანდრიასათვის. ანდრიამ თვალები დააშტერა ერთ წერტილს და ნეტარებით იღიმებოდა. დიდხანს იოცნება ანდრიამ. ბევრნაირად გადაატრიალა თავისი ცხოვრება და თავისი ... ცოლის ღირსება კვლავ ფულზე[დ] დააყენა. არა, უთუოდ მზითვიანი ქალი უნდა შევირთო, მაშ რითი უნდა დამაფასოს ხალხმა. სწორედ იმას ... ვისმეს, რომ უმზითვო ქალი შე... სახლში. კარგი ის იქნება ... იმას იძახდეს: ბიჭობა ანდრეი გიორგიჩმა უნდა დაიკვეხოს. თუ კარგი კაცი არ იყო, სამას-ოთხასი თუმანი რად ჩაუჩხრიალესო! მაშ, ბიჭი არა ვყოფილვარ თუ ... სახჩვენებელი არ გავხდე. ეგ არის დღეიდგან უნდა შევუდგე მზითვიან ქალის ძებნას“. დააბოლოვა ანდრიამ და ულვაშები გადიგრიხა.

ანდრიას განზრახვას მალე მიუხვდნენ ნაცნობები. მიხვდნენ, რომ ცოლის შერთვა გადაუწყვეტიაო და ყველა დაფაცურდა. მაჭანკლები ხომ ბუზივით დაეხვია. ან-კი ვინ დაერიდებოდა? ლამაზი, ჭკვიანი და ნასწა-

*) იხ. «ივერია», № 7

და [illegible] მართლო ჰქონდეთ.
[illegible] გერიებო [illegible]

*** [illegible] ოია ლ [illegible]. ობოზ.“ ს პეტერბურგიდგ[illegible] უწყებენ, რომ ამიერ-კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის შტატი (ქ. გორში) შეცვლილ იქმნაო.

*** „ქუთაისი: 7 იანვარს ქალაქის საბჭოს სხდომაზედ გაარჩიეს საერთო თხოვნა აქაურის მეპურეებისა, რომელნიც თხოულობდნენ, რომ შავს ზღვაზედ ნავოსნობის შეწყვეტის გამო შეშის ფასმა აიწია და ამიტომ აწ მომქმედი ნიხრი შეგვიცვალეთ და პურის ნიხრს ფასები მოუმატეთო. ხანგრძლივის სჯა-ბაასის შემდეგ საბჭომ გარდასწყვიტა: სამის ხმოსნისაგან შესდგეს კერძო კომისია, რომელსაც მიენდოს ქალაქის ხარჯით საცდელად პურის გამოცხობა, რათა საბჭომ ივარაუდოს რა ჯდება თითოეული გირვანქა პურისა, რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარისა. „ნოვ. ობოზ.“ რა კავშირი აქვს შავს ზღვაზე ცუდს ამინდს ქუთაისში შეშის ფასსზედ? ეს სწორედ ნამდვილი გამოცანაა.

*** ქ. სიღნაღი: დიდი სიცივეები დაიჭირა. მართალია, თოვლი არ არის, მაგრამ ჯანყ-ბურუსიანმა სიციემ-კი ძალიან შეაწუხა ხალხი. გზები დაყინულია.

ამას წინად ს. ანაგას საფოსტო ეტლიდგან გადმოვარდნილა ვიღაც გრიგორიევი და იქვე სული დაულევია.

*** ჩვენ მოგვივიდა ახლად გამოცემული სახალხო წიგნი № 4 „ქაჯანა“ ამბავი ნ. ლ—ურისა. წიგნაკი სუფთად არის გამოცემული შეიცავს 44 გვერდს და ღირს ერთი შაური.

—

*** ჩვენვე მივიღეთ დიდი სურათი შოთა რუსთაველისა, გამოცემული კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის მიერ. სურათი დიდის ფორმატისაა და ღირს სულ ექვსი შაური. იმედია, ჩვენი ქართველი საზოგადოება სიამოვნებით მიეგებება ამ ამბავს და ამ სურათით დაიმშვენებს სადგომ ოთახებს.

---

## დაბად და ქალაქად.

—

სოფელზედ ისე ვერ დაიწყებ ფიქრსა და ლაპარაკს, რომ სოფლის მამასახლისი არ მოგაგონდეთ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მამასახლისს ხელში უჭირავს მთელი სოფლის საზოგადოების ბედ-იღბალი. კარგი და კეთილია მამასახლისი—კარგად და კეთილად მიდის სოფლის საქმე. ცუდია და—ვაი თქვენ მტერს რაც დღენი ადგება მაშინ იმ სოფელს!

რა-კი ასეთი დიდ-მნიშვნელობიანია მამასახლისობა, ამიტომაც არის, რომ ამ უკანასკნელს ხანში უმაღლესი მთავრობა, საზოგადოება და კერძო პირებიც სულ იმის ფიქრში არიან, თუ როგორ მოაწყონ საქმე სასურველის მამასახლისის არჩევისათვის.

ამ საერთო ფიქრმა—საერთო საშუალება გამოაძებნინა: ეხლა ყველას სჯერა, რომ თვით სოფელი, საზოგადოება არის უკეთესი იურიდიული დადგენილება, რომელსაც ყველაზედ უფრო ადვილად, უცდომელად შეეძლება კარგის მამასახლისის ამორჩევა,—სწორედ ამიტომაც მისი გამწესება არჩევანებზედ არის დამყარებული.

მაგრამ... მაგრამ მაინც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სოფელი ვერ ირჩევს მამასახლისად სასურველს კაცს. გადაათვალიერეთ სოფლიდგან მოსული კორესპოდენციები, დაუგდეთ ყური სოფლიდგან ჩამოსულებს და დარწმუნდებით, რომ უმეტეს ნაწილად საქართველოს სოფლებიარ არიან კმაყოფილნი თავიანთი მამასახლისებით. რაღა თქმა უნდა, რომ არჩევანებს აქ არავითარი ბრალი არა აქვთ. წინააღმდეგ, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ არჩევანები რომ არ იყოს ხოლმე, ამ შემთხვევაში—უარესი იქმნებოდა და შეუფერებელ მამასახლისის ყოლა უფრო ადვილად მოსაფიქრებელი გახდება, თუ სამდურავი უფრო მეტი და მეტი ისმის ამ ჟამად სოფლებიდგან, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სოფელს უკეთესი მოხელე უნდა, რომ მან ისწავლა კრიტიკულად საგნის განსჯა—და ყველა ეს ხომ სოფლის წინ სვლას, გონებით განვითარებას ამტკიცებს. ჯერ გუშინ კიდევ ვერ ბედავდა სოფელი კრიტიკას. დღეს ბედავს—და ეს მის წინ-სვლას ამტკიცებს...

უმთავრესი მოვალეობა, რომელნიც მამასახლისის მოქმედებაში სამდურავს იწვევენ, შემდეგია: ამა თუ იმ სოფლის მოხელეს ვერ შეუგნია ის საზოგადო ვალი, რომელიც მას კისერზედ აწევს, კერძო ინტერესებს მისდევს, საკუთარის ჯიბის გავსებას უნდება, ბოროტად სარგებლობს თავისის უფლებებით და სხვა ამისთანა.

ამ საერთო ჩივილში სიამოვნებით მოისმენს ადამიანი თითო-ოროლა მაგალითს, რომელნიც ზოგიერთა მამასახლისების სიკეთეს ამტკიცებს.

**

გურიაში არის ერთი სოფელი ბახვი. 1883 წელს ბახვის საზოგადოებამ მამასახლისად ა. ინწკირველი აირჩია. „თერთმეტის წლის კეთილი, სინიდისიერი და წესიერი სამსახურით მან დაარწმუნა საზოგადოება, რომ ის არის ბევრის მადლობის ღირსი“ —იწერება კორესპონდენტი. რადგანაც, განაგრძობს კორესპონდენტი, მამასახლისს საზოგადოებაზედ დიდი გავლენა აქვს, ამისთვის დარწმუნებული ვართ, თუ ინწკირველი არ ყოფილიყო სოფელი აწინდელ მდგომარეობას ვერ ეღირსებოდა, მით უმეტეს, რომ მამასახლისი ინწკირველი ძრიელ უყვარს საზოგადოებას. მას ყველაფერში ერწმუნებიან.

1891 წელს მამასახლისობას თავი დაანება თავისის სურვილით. სოფელმა სადილი გაუმართა, რომელზედაც მასწავლებელნიც დაესწრნენ და საათი მიართვა სახსოვრად.

საზოგადოდ სოფელი უბედური არ არის. ვინც მას კეთილს უზამს, ურჩევს არ დაივიწყებს მას არასოდეს და სწორედ ისე მოიქცევა როგორც სოფ. ბახვი მოიქცა თავისის კეთილის მამასახლისის გაცილებაში.

დღეს ა. ინწკირველი კვლავ ემსახურება ბახვის საზოგადოებას. კორესპონდენტი გვწერს ხმა დადისო, რომ უარს ამბობს კვლავ მამასახლისობაზედ და ყველას ძრიელა სწყინს ესაო. სწორედ რომ საწყენიც არის. სოფელს არც ისე ბევრი ჰყავს კეთილმსახური—რომ ვინც გამოჩნდა იმანაც ზურგი მიუბრუნოს მას. სასურველია ბახველებს იმედი გაუმართლდეთ და თავისი საყვარელი მამასახლისი ხელთ შერჩეთ.

**

დიდად საინტერესოა თვით ეს სოფ. ბახვი. «ამ 11 წლის განმავლობაში ბევრად წინ წაიწია სოფ. ბახვიო». გვატყობინებს კორესპონდენტი.

დაიქირავეს მესამე სოფლის სკოლის მასწავლებელი, გადააკეთეს სოფლის ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად—ოთხ განყოფილებით, გადმოიყვანეს მღ. ნატანების შტო და სხვ.

რაღა თქმა უნდა, რომ ამოდენა სიკეთის გაკეთებას სოფ. დიდად გაუადვილებდა ის გარემოება, რომ მას „პატრონად ჰყავს მისი უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი“, მაგრამ თვით მცხოვრებლებიც უეჭველია შეიგნებდნენ კეთილს აზრს და მით გააადვილებდნენ მის განხორციელებას. ეხლა სოფ. ბახვი ყოველის მხრით მოწყობილია. მხოლოდ ერთს ვურჩევთ მას—ბიბლიოთეკა დააარსოს. აი მაგალითი იმისი, თუ რა რიგად ეჩვევა ჩვენი ხალხი განათლების და გონების გახსნის იარაღს.

სოფ. აკეთს დააარსეს ბიბლიოთეკა. 10 თუ 15 სოფელი დიდის ხალისით ეტანება მას და გააქვს წასაკითხად წიგნები. ორი-ათასამდე კაცი და ქალი, დიდი და პატარა მოსულა ამ სამკითხველოში.

ეს ისეთი ფაქტია, რომ განმარტება აღარ საჭიროებს.

—ლი—გ.

---

## კორესპონდენცია

—

**სოფ. ხიმში.** (რაჭის მაზრა), 20 დეკემბერი. მაშინ, როდესაც საქართველოს ყოველ კუთხიდგან მოისმის ხოლმე სასიამოვნო ამბები—აქა თუ იქ სასწავლებლები დააარსეთო, რაჭის მაზრა-კი მდუმარებას მისცემია თითქოს მისთვის მნიშვნელობა არა ჰქონდეს ამ დიდ მნიშვნელოვან საგანს. არ გეგონოთ, ვითომც რაჭაში ბევრი იყოს ხალხის აღმზრდელი დაწესებულება და სასწავლებლების დაარსებას არა საჭიროებდეს, არა, სულაც არა! მთელს მაზრაში მხოლოდ ერთი სასწავლებელია, ისიც მარტო ერთ-კლასიანი. ეს სასწავლებელი დაბა ონშია და თუმცა დიდი ხანია, რაც დაბადებულა, მაგრამ მაინც რაც შობითვე ყოფილა, ისევ ისე დარჩენილა! ვერ იქნა და ვერა, იმ ერთ კლასს ველარა მიუმატეს რა და არც ახალს აარსებენ. გამოდის, რომ მთელი მაზრა ერთ სასწავლებლის ანაბარად რჩება—სასწავლებლების ასეთი სიმცირე იმას-კი არ მიეწერება, ვითომც მოთავე არ იყოს და საქმეს წინ გამძღოლი აკლდეს. არა, თითონ ხალხია უზრუნველი და აინუნში არ მოაქვს ასეთი საზოგადო ნაკლულევანება.

მაგალითად, ამას წინად—მაზრის უფროსმა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა—მოიწვიეს თავადაზნაურობა და განუმარტეს, რომ მთავრობა თანახმა არის დაბა ონში ოთხ-კლასიანი სასწავლებელი დააარსონ და ამ თავითვე ოთხის ათასის მანათით გვეხმარებაო, თქვენ-კი საქმის დასაწყისშივე 3,000 მანეთი უნდა გაიღოთო და ყოველ წლიური დახმარება აღმოუჩინოთო. რასაკვირველია, ამასთანავე განმარტებული იყო სასწავლებლის დიადი მნიშვნელობა და სარგებლობა.

უმცირესმა ნაწილმა ეს წინადადება...

---

ვლი „უჩიტელი“, განა ეს საკმარისი არ იყო, რომ ჩვენს კეკელჯანებს გული აფანცქალებოდათ და ანდრიას ცოლობა ენატრათ? მართლადაც, რაც იმ ქალაქში ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი გასათხოვარი ქალი იყო, ყველას ქირისუფლებმა მაჭანკლები მიუგზავნეს. ანდრია სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა, რომ ასეთი ყურადღება ჰქონია დამსახურებული, მაგრამ რაც უფრო ბევრი მაჭანკლები მოსდიოდა, მით უფრო ნაზდებოდა ჩვენი ანდრია და ფეხს მაგრად აჭერდა. ზოგს ეუბნებოდა, რომ ჯერ მე ცოლს არ ვირთავო, ზოგს ეუბნებოდა, თქვენი ქალი არ მომწონს და ნურას უკაცრავადო, ზოგს—აბა არ გრცხვენიანთ მაჭანკალს მიგზავნით, თქვენი ქალი უსულო საქონელი ან პიუტყი ხომ არ არის, რომ შუამავლობით მაწონებთ. და ანმე განა დენი არ მესმის, რომ მაჭანკლით ცოლის შერთვა შეუძლებელია? გულმა უნდა გული იცნოს და ისე უნდა ამოირჩეს ის არსება, რომელსაც მეუღლე ეწოდებაო. ეგ ერთი გაგიგედნიათ და კვლავ ნუღარ გაბედავთ, რადგანაც მაგითი მეც მამცირებთ და თქვენს ქალსაცო.

დიაღ, ასე მრავალ-სიტყვაობდა ხოლმე ჩვენი ანდრია, მაგრამ ყველა ამას „დიდი მზითვის“ ალება ალაპარაკებდა. ქანც გაწყვეტილი ქალების დედ-მამა, რომ ველარას აწყობდნენ, ქორიკანობას მიჰყვეს ხელი. ხან ერთს ქალზედ დასწამეს, რომ დანიშნაო, ხან მეორეზედ, ხან კერპი დაუძახეს, ხან ჯიუტი და ამ გვარად სცდილობდნენ ანდრიას დამცირებას. მაგრამ ყურსაც არ იბერტყდა. ის მომავალს უცდიდა და სჯეროდა კიდეც, რომ ძრიელ მალე უთუოდ ფულიანს ქალს შეირთავდა.

ამასობაში, ანდრიას ცოლის შერთვის განზრახვამ „ურიის ცხენამდისაც“ მააღწია, იმას დიდიხანია უნდოდა ანდრიასათვის თავისს ცოლის და გაერიგებინა, მაგრამ დროს, შემთხვევას უცდიდა და კიდეც დაუდგა ეს დრო. ერთხელ ანდრიამ მთელი დღე უსიამოვნოდ გაატარა და გასართობად უფროსთან წავიდა: ნარდს ან ქადრაკს ვითამაშებო. უფროსი მხიარულად დაუხვდა და გაიმართა მასლაათი. ამ მთისა სთქვეს, იმ მთისა, ზოგი აძაგეს, ზოგი აქეს, ზოგს სამარე გაუთხარეს, ზოგი ჯილდოზე წარადგინეს და სხვა, ერთის სიტყვით ილაპარაკეს ყველა ის, რაც სხვისთვის მიწთომელი და გაუგებარი იყო. ბოლოს ლაპარაკი ქალებზედ, ქორწინებაზედ ჩამოუვარდათ. ორთავენი თავისებურად სჯიდნენ ამ საიდუმლოს. უფროსი როგორც სამღვთო წერილის კაცი (ღვთის მეტყველების კანდიდატი გახლდათ) ეკლესიურის თვალით უყურებდა ამ საიდუმლოს და მის განსამარტავად ცოტა გაწყდა კატიხიზმოდგან არ მოიყვანასიტყვები. ანდრია კი იმას უმტკიცებდა, რომ ლამაზი ცოლი კაცის სახელია და თუ ამასთანავე ფულებიც აქვს, მაშინ ხომ რაღა... „ადამიანი ბედნიერებაზედ უბედნიერესი იქმნებაო“. ბევრს ხანს ილაპარაკეს ზედამხედველ-მასწავლებელმა და ბოლოს იქამდის მივიდნენ, რომ თვისდა უნებურად აღიარეს თავისს გულის პასუხი. გამოჩნდა, რომ უფროსს სდომებია თავისს ცოლის და ანდრიას გაურიგოს და ანდრიას-კი მზითვიანი ქალი.

— ურიგო არ იქმნება, ჩემო ანდრი, ჩაურთო ლაპარაკში უფროსმა, ჩემი ცოლის და შეირთო. ობოლი ქალია. იმის გაბედნიერებით შენც ხეირი მოგეცემა და თუ ეხლა მეგობრები ვართ, შემდეგში ნათესავები ვიქმნებითო.

ამ სიტყვების გაგონებაზედ ანდრიას ალმური აუვიდა. მაგრამ ვერაფერი უთხრა-რა გარდა იმისა, რომ მოვიფიქრებო.

—

ანდრიას „მოფიქრება“ მტკიცე უარით დასრულდა. უფროსმა ეს ითაკილა და ამ ორს მეგობარს შორის საშინელი მტრობა ჩამოვარდა. მათი ურთიერთობა გამწვავდა, ასე რომ საჯაროდ ერთმანეთს ლანძღვა-გინება დაუწყეს. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს ხელი შეუშალა ანდრიას კეთილდღეობას და სალაპარაკო საგნად გახადა. ვინ იცის რითი გათავდებოდა ამ ორის მოქიშპე კაცის საქმე, რომ ზედამხედველ «სხვაგან არ გადაეყვანათ. გადაიყვანეს „ურიის ცხენი» და მასწავლებლებმა თავისუფლად ამოიქშინეს. თავისუფლად ამოისუნთქა ანდრიამაც მაგრამ დიდხანს-კი ვერ დარჩა მშვიდად. უფროსის გადაყვანის ამბავმა ათას გვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ზოგი უფროსს ამტყუნებდა, ზოგი სხვა მასწავლებლებს და ზოგი-კი ყველა ბრალს ანდრიას ახვევდა თავსა. ამის გამო ბევრჯელ გააბოროტეს ანდრია, ბევრჯელ აუმღვრიეს სისხლი და ამ გვარმა გაბიაბრუებამ ერთხანს ბოლო მოუღო ანდრიას ტკბილს ცხოვრებასა. ჩვენს ანდრიას, რომელსაც სარჩოც ჰქონდა და კაკალიც, ცხოვრების უკუღმართმა ტრიალმა თავში შემოსაკვრელი ქვაც მისცა ხელში.

VII

სოფელს ქუჯათ-კარში ცხოვრებდა ტიტიკო მუშტაძე. ოდესღაც მდიდარი ტიტიკო დღეს გაღარიბებული-ყო და თუ რამე ებადა ან ბანკს დარჩენოდა გირაოთ ან არა-და გეურქალას დაესაკუთრებინა. მაგრამ მაინც ეხტიბარას არ იტეხდა ტიტიკო და როგორც ტახტის აზნაური სუფთად, ფაქიზად სცხოვრობდა. მართალია მოვალეები ყელში ხელს უჭერდნენ ვალი გადაგვიხადეო, მაგრამ რაც არა ჰქონდა-რა რას წაართმევდნენ?

აი ამ ტიტიკოს ჰყავდა რამდენიმე ქალი და მათ შორის უფროსს—ქეთოს გასათხოვრად კისერი უკვე მოეყელყელებინა. ტიტიკოს ცოლმა, სამაზრო ქალაქში ყოფნის დროს, შემთხვევით ანდრია გაიცნო. შინ დაბრუნების შემდეგ, შეუჩნდა თავისს ქმარს, გინდა თუ არა ჩვენი ქალი ანდრია ავყიაშვილს მივათხოვოთო.

— რას ჩამაცივდი, დედაკაცო, მე სასიძო არჩეულიცა მყავს. ასეთი ვაჟკაცია, შენმა მზემ, ჩემგან არჩეული სასიძო, რომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშება.

— აპა რა, თუ არ დაგიშლია, სწორედ შინ გაზდილ კაცს მივათხოვებ ჩემს ქეთოსა! ანდრია ავყიაშვილი-კი ნასწავლია, მოსამსახურე კაცია, სად ისა და სად ვიღაც ჰოტროველა. გაკაპასდა ტიტოს ცოლი.

— ნასწავლია!?

— დიახ, ნასწავლია და აზნაური,

ბა მოიწონა, მაგრამ, რადგანაც უმრავლესობას ცოტა არ იყოს არ ეპრიანა ფულის გაღება, კრება გადაიდო. მეორე კრება, რომელსაც თავად-აზნაურთა მომეტებული ნაწილი დაესწრება, გარდასწყვეტს ამ საქმის ბედ-იღბალს და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქმე კეთილადაც დაგვირგვინდება. მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ ზოგიერთებმა თავიანთი უარი ფულის ღების შესახებ შემდეგის სიტყვებით დაასაბუთეს: „შვილი არა მყავს და კოლა რას მარგიაო!"

დარწმუნებულნი ვართ ზოგიერთების ასეთი აზრი—სხვებისათვის სახელმძღვანელოდ არ გახდება და ისინი, ვისაც-კი კარგად აქვს შეგნებული სასწავლებლის მნიშვნელობა და რაჭის სწავლა-განათლებით უკან ჩამორჩენია—ყოველ ღონისძიებას მოიხმარებენ, რომ ეს საშვილიშვილო საქმე განხორციელებულ იქმნას. მხოლოდ აქვე უნდა შევნიშნოთ, არ იქნებოდა ურიგო მეთაურთ სასწავლებლის პროგრამისათვის მიექციათ ყურადღება და იგი ჩვენის ცხოვრების საჭიროებათა შეთანხმებით შეემუშავებინათ,

ვ. ჭიჭინაძე.

## იმედი

(ვუძღვნი ქართველ ქალებს)

ქალთა მიამბეს: სიზმარში
რუსთველი მოგვევლინაო,
ძლიერ-მეტყველებით მოგვხიბლა,
ცრემლები გვაბნევინაო,
გვამხილა ჩვენი ცოდვანი,
თავ-ბედი გვაწყევინაო;
მან გვითხრა: ქალნო ქართველნო!
ია-მზენო და თინაო,
დაგივიწყნიათ ქართული—
ცაში შემესმინაო,
ავრით გულ ლახვარ-სობილსა
ულ-ყელს მომებჯინაო,
წაველ და თამარს ვუამბე,
ატირდა, იქვითინაო,
იტირა წმინდა ნინომაც,
ცრემლები დაიდინაო,
ძალზედ შეწუხდა ქეთევან,
თავ-პირში წაიშინაო,
ატირდნენ ქართველ დედანიც,
სთქვეს: წაუხდებათ ბინაო,
ვინღა დაუზრდის მამულსა
ნამდვილ ქართველებს შინაო,
ან ვინღა მოიხსენიებს,
ვინც ქართლი გააბრწყინაო,
ვინც მტერთა გული უგმირა,
მოკვეთე მოალხინაო,
ვინც ტკბილ-ქართულით მკვდარსაც კი
გულ-გონი აუფრინაო;
ვინც სიბრძნე-მეცნიერებით
ცას ხელი მიაწვდინაო;
ვინც მაღალ-ნიჭიერებით
კეთილი მოგვარგინაო,
ვინც ღვთიურ ხელოვნებითა
გვატირა, გაგვაცინაო;
ვინც უკვდავ გრძნობა-გონებით
კაცობა გააჩინაო;
ვინც აკვანშივე მოწურთნა
ქართველი პაწაწინაო;
ვინც ხეც-კი კაცად აქცია,
სუყველას მიახვდინაო,
ვინც მგლებს კაპიწი შეუკრა,
ეშმაკნი დააშინაო;
ვინც მძლეთა მძლევი ერთობა
და ძმობა დაადგინაო...
ვაჰ ჩვენ თავს, ჩამომავლობამ
ეგრე რად შეგვარცხვინაო!..
დაემხნენ ატირებულნი
ღვთის-მშობლის ფერხთა წინაო,
ქვითინით ევედრებოდნენ
თამარ, ქეთევან, ნინაო,
რომ ქართველ მანდილოსნობას
ქართველობა შაერჩინაო
და გმირთა აღზრდით სამშობლო
კვლავ ფეხზედ აღედგინაო!
იქ გულმა ჩემმაც მათ გულთან
იტირა, იქვითინაო,
ზღვა დადგა ჩვენის ცრემლისა,—
ედემ-ბაღს მოეფინაო;
შევებრალენით ღვთის-მშობელს,
იმედით მოგვალხინაო,
და სიხარულით იმღამეს
აღარვის დაგვეძინაო.

დ. მაჩხანელი

## უცხოეთი

**გერმანია.** ბერლინის მცხოვრებნი მოუთმენლად და დიდის ცნობის მოყვარეობით ელოდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ამბის შეტყობას. 5 იანვარს საღამოზედ ქუჩებში დიდი ხმაურობა ისმოდა. ათს საათზედ მიიღეს საგანგებო დამატებანი გაზეთებისა და ხალხი თითქმის ხელიდგან სტაცებდა გაზეთების დამტარებლებს. არჩევანის ამბავი სრულიად მოულოდნელი იყო: ფორს თითქმის არავინ იცნობდა ბერლინში. ყველას ეჭვი აქვს, ძნელად, თუ ახალი პრეზიდენტი დიდხანს დარჩეს თავისს თანამდებობაზედაო.

—

**საფრანგეთი.** ორლეანის დუკმა სენატორ-ორლეანისტს ბიფფეს წერილი გაუგზავნა, რომლშიაც შემდეგს სწერდა:

„პერიეს წერილი აწინდელის მთავრობის წეს-რიგის ბრალმდებელთ ოქმიაო.

რესპუბლიკა საფრანგეთში მარტო დროებითი დაწესებულებაა, რასაც აწინდელი მოვლენანიც ჰმოწმობენ. მხოლოდ ის საათი, როდესაც ჩვენი ქვეყანა მოინდომებს დაუბრუნდეს იმ ფორმას მმართველობისას, რომელმაც მას სახელი და დიდება მოუხვეჭა, თავმდები იქმნება მისის კეთილ დღეობისა. იმ დღეს, როდესაც მიმიწოდებს ქვეყანა, თქვენში ვპოვებ რწმენას, ხოლო ჩემს ერთგულებაში იმდენს ძალას, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დავიცვა იგი. მომავალი გვიჩვენებს, გავაკეთებ თუ არა საფრანგეთისთვის იმას, რაც ჩემმა წინაპრებმა გააკეთეს, დღეს-კი უნდა ვეცადნეთ, რომ თავიდგან განსაცდელი ავიცდინოთ". წერილში დუკი მიჰმართავს ყველა ერთგულ მეგობარს და სთხოვს გამოიჩინონ მამულიშვილობა და ამოირჩიონ პრეზიდენტის კანდიდატად ისეთი კაცი, რომელიც რიგიან წესწყობილებას მიანიჭებს ქვეყანასაო. „დღეს ქვეყნის დახსნისთვის ვეცადნეთ და ხვალ-კი იმის სადიდებლადაო".

დუკი ისევ ლონდონში დაბრუნდა.

საფრანგეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი ფელიქს ფორი შვილია ღარიბის დედმამისა. ყმაწვილობაში ერთის სავაჭრო ამხანაგობის აგენტად ყოფილა, მერე ხერხიანის ოპერაციებით კარგა დიდი სიმდიდრე შეუძენია, გამხდარა პატრონი სავაჭრო გემების სადგურისა და ჰავრში სავაჭრო სადგურის პრეზიდენტადაც ყოფილა. გერმანიასთან ომის დროს ფორი ჰავრის მილიციას უფროსობდა თურმე. 1881 წლიდგან იგი დეპუტატად იყო, თუმცა მჭერმეტყველობით არ იყო განთქმული; ფორს პრაქტიკულად კარგად აქვს შესწავლილი ეკონომიური საგნები და თავისუფალ ვაჭრობის მოსარჩლეა. ფორის მიერ შედგენილი წიგნი „საფრანგეთისა და სხვა ევროპის სახელმწიფოთა ხარჯთ-აღრიცხვა" აკადემიამ გვირგვინით შეამკო. გარეგანის შეხედულობით იგი მაღალია, გამხდარი, ჭაღარა წვერი აქვს და კოხტად ჩაცმული კაცია; ჰყავს ცოლ-შვილი და მისის ცხოვრების ამბავი ყველამ იცის მთელს პარიზში.

ხალხის ბრბომ, რომელიც სანტ-ლაზარეს რკინის გზის სადგურზედ უცდიდა პრეზიდენტის მოსვლას, ფორის გამოსვლისათანავე შექმნა ყვირილი: „არ გვინდა ეგ, ბრისსონს გაუმარჯოსო!"

—

როდესაც შალლმელი კონგრესის რაოდენობას აცხადებდა ვერსალში, ხალხში ღრმა სიჩუმე ჰსუფევდა, მაგრამ როდესაც მან წარმოსთქვა: «ფელიქს ფორს 435 ხმა ამოუვიდაო" და მარჯვენა მხრიდგან ტაშის ცემა გაისმა, წამოცვივდნენ სოციალისტები თავიანთ ადგილებიდგან და შეჰქმნეს ყვირილი: «შორს ჩვენგან ქურდები! მაზასში!» საშინელი ხმაურობა ასტყდა. მემარჯვენენი იძახდნენ: „კომმუნა მოგვაშორეთო!" როდესაც შალლმელმა გამოა[illegible]ჩა, 21. [illegible] ფორი ამორჩეულიო, [illegible] ლენი მემარცხენენი და სოცი[illegible]ტები თავისის ადგილიდგან წამოდგნენ და დიდხანს უკრავდნენ ტაშს ბრისსონს. ეს პატივისცემა ორს წამს გაგრძელდა. შალლმელმა სხდომის განაჩენის წაკითხვა უბრძანა. მიშელენი სცდილობდა, მეორედ გადასინჯვის შესახებ ჩამოეგდო ლაპარაკი, მაგრამ შალლმელმა განაცხადა, რომ სხდომა გათავებულიაო. სოციალისტები წინააღმდეგობას აცხადებდნენ და იძახდნენ: „სოციალურს რევოლიუციას გაუმარჯოს!"-ო. $7^1/_2$ საათზედ დარბაზი სრულიად დაცალიერდა.

კონგრესის კრების სხდომის შემდეგ მინისტრები შალლმელის კაბინეტში შეიკრიბნენ, სადაც მათ ფორი უცდიდა; დიუპუიმ სხდომის გარდაწყვეტილება წაიკითხა, რომლის შემდეგაც ამ უკანასკნელმა და შალლმელმა მოკლე მილოცვა წარმოსთქვეს. დიუპუიმ სთქვა, საერო კრებამ დიდი პატივისცემა განუცხადა კაბინეტს იმითი, რომ პრეზიდენტი მინისტრთაგან ამოირჩიაო. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა და სთქვა, რომ დღეის შემდეგ მე აღარ ვეკუთვნი რომელსამე ერთს დასსა, არამედ ჩემი მოვალეობაა ყველა დასის შემაერთებელი ხიდი შევიქმნაო. შემდეგ მიჰმართა ყველა რესპუბლიკელებს და დახმარება სთხოვა ეროვნების ყველა წარმომადგენელთ. „ჩვენ მუდამ მხარი-მხარს ჩაბმულნი ვივლით იმ გზაზედ, რომელიც მამულის სიყვარულს, რესპუბლიკის ერთგულებასა და ჩვენის გაჭირვებულ, დაჩაგრულთ თანამემამულეთა ზრუნვას შეგვაჩვევსო", სთქვა პრეზიდენტმა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ივ გიუიო ამბობს „Radical"-ში რომ ფორს არავითარი პოლიტიკის პროგრამა არა აქვსო. დრიუმონი ამ-

---

შვილიც. სიამოვნებით წამოიძახა, რა ნახა რომ ქმარი დაითანხმა.

— მაშ კარგი და აბა შევეხმაუროთ. დაეთანხმა ტიტიკო.

მეორე დღეს ტიტოს მიერ გაგზავნილი მაჭანკალი ანდრიასთან გაჩნდა, მაგრამ ანდრიამ უკმეხად უარი შემოუთვალა. „მე თქვენის ქალის შერთ-ხელს არ მომცემსო." ასეთმა პასუხმა ძალიან აალელვა ცოლ-ქმარი. ორ განა ქეციანმა მღვდლის შვი- ჩემი ქალი უნდა დაიწუნოსო, ცადოს მე იმან, ეს ულვაში არ ს თუ მე იმას სამაგიერო არ გა-ხადეო, გაჰკიოდა ტიტიკო და თან ცოლს უსაყვედურებდა.

ამ მუქარის შემდეგ არ გასულა რამდენიმე თვე და სოფელ ქუჯოთკარში ეკლესიის დღეობა მოვიდა. ანდრიაც მოხვდა ამ დღეობაში. ღვინით შეზარხოშებულმა ტიტიკომ თვალი მოჰკრა ანდრიასა და მშვილდივით გაექანა მისკენ. ანდრიაც დასახვედრად მოემზადა, მით უმეტეს გაგონილი ჰქონდა, რომ ტიტიკო ემუქრებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ ანდრიას გაოცება, როდესაც ტიტიკო მტრობის მაგივრად ძმურად გადაეხვია ანდრიას და ჩააცივდა ვინდა თუ არა შინ უნდა წამომყვეო. ჩემი სტუმარი უნდა იყოო. ანდრია იძულებული შეიქნა გაჰყოლოდა ტიტიკოს. ერთის საათის შემდეგ ანდრია სხვა სტუმრებთან ერთად სუფრაზედ წამოსკუპებულიყო და წითელი ნუნუა ჰიკა-ჰიკაზედ გადაჰყავდა. ღვინის ულმობელმა ძალამ, მასპინძლების ალერს-პატივმა ანდრიას თავს-ბრუ დაასხა და ენა ამოადგმევინა. ბევრი, ბევრი იხუმრა ანდრიამ და ამ ხუმრობაში კიდეც გამოულამდა. ღამე მასპინძლები რაღას გაუშვებდნენ და იქვე მოასვენეს. მეორე დღეს დილით როგორღაც მოახერხეს და თავისს ქალზედ-კი დანიშნეს. როგორ მოხდა ეს ამბავი დანამდვილებით არავინ რა იცის, თუმცა-კი ათას-გვარი ჭორები დადის. ერთის კვირის შემდეგ ჯვარიც გადასწერეს ჩვენს ანდრიას და „ქარიელი" ქალი და ასი თუმნის ბათილამა გამოატანეს.

ანდრიას ცოლის შერთვის ამბავი ყველას გაუკვირდა და იმ გასათხოვარმა ქალებმა, რომელთაც ანდრიაზედ უნდოდათ გათხოვება ყურები ჩამოყარეს. რაღა დარჩენოდათ იმის მეტი, რომ ჭორები გაევრცელებინათ. მაგრამ ესეც მოსწყინდათ. შურის ძიებას ყური მოსტყდა და ცხოვრებამ ჩვეულებრივი მიმდინარეობა მიიღო.

## VIII

გავიდა ერთი წელიწადი. ანდრიას ცოლშვილობა ახალი ამბავი აღარ იყო, პირ-იქით უფრო პატივით ეპყრობოდნენ, როგორც დარბაისელს კაცსა. მაგრამ ანდრიას ოჯახში-კი ჯოჯოხეთი დატრიალდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ანდრიამ ჯვარის-წერის პირველ დღიდგანვე თავისს თავი შეურაცხ-ყოფილად ჩასთვალა და ამ აზრით გამსჭვალული სწორედ მტარვალად გარდაექცა თავისს ცოლს.

— დღეს მე, ანდრია გიორგიჩი, მოტყუვებული ვერ განა? ჩაეკითხებოდა ხოლმე თავისს თავს და გული ყელში ებჯინებოდა. ბრაზი მოსდიოდა და ჯავრის ამოსაყრელად ცოლს მივარდებოდა ხოლმე. საბრალო ქეთო ხმა-გაკმენდილი შესცქეროდა გაწრისხებულს ქმარს და ვერ მოეფიქრებინა თუ რად იყო იმაზედ გულაცრუებული. სწორე მოგახსენოთ, მართლა ძნელი გამოსაცნობია, რა იყო მიზეზი ანდრიას გაპირქუშებისა, გაავყიავებისა. ისა რომ, მოსტყუვდა და თავისდა უნებურად შეირთო ცოლი, თუ ისა, რომ მუდმივმა ფლიდობამ, მუდმივმა თავის მოტყუებამ გადააბირეს და ხასიათი წაუხდინეს. ასეა თუ ისე ანდრია ქეთოს ნამდვილ სულთა-მხუთავად გარდაიქცა: ჯვარის-წერის პირველ დღიდგან ერთი ალერსიანი სიტყვა არა სმენია ქმრისაგან. ანდრია მუდამ უშტიალებდა, მუდამ უყვიროდა და თვალებს უბრიალებდა. შეიძლება ცოლი იყო დამნაშავე? მაგრამ არა! ქეთო მეტისმეტი ზნეობიანი და პატიოსანი ადამიანი იყო და ამასთანავე, როგორც შინ გაზრდილი, სოფლის ჩვეულება-ხასიათით გამოკვებილი დიდი მოსიყვარულე თავისს ქმრისა. მხოლოდ გული იმითი უკვდებოდა, რომ ქმარს იგი ჭირივით ეჯავრებოდა, როდესაც მას უსამზღვროდ უყვარდა, სულ თვალსა და წარბში შესცქეროდა, რა ვაამო, რითი მოვიგო ჩემი ანდრიას გულიო.

— ოჰ! ზეციერო მამაო, შენ ჰკითხე და გადაახდევინე, ვინც მე ამ გაჭირვებაში ჩამაგდოო, იტყოდა ხოლმე ბეჩავი ქეთო და თვალიდგან ცრემლებს გადმოჰყრიდა.

მშვენიერი სანახავი იყო ხოლმე ამ დროს ქეთო. კუპრივით შავი თვალები ღრუბლივით ცრემლით ეჭლინთებოდა და მისი მახვილი წამწამები უსუპივით აბკურებდა მის ლაწვბალახშს გულიდგან ამონადულს მდუღარებას. მისი მკერდი ზღვასავით ბობოქრობდა და გულის სიღრმიდგან ამოსხლეტილი ოხვრა ცრემლის ნიაღვარს უერთდებოდა. ასე სტიროდა ხოლმე ქეთო სანამ ქმრის მოსვლის დრო მოახლოვდებოდა. მაშინ-კი თვალებს მოიწმენდდა და შესცქეროდა ქუჩის კარებს, აბა როდის გამოჩნდება ჩემი სულის ჩამდგმელი ანდრიაო და ეს ნამტირალევი სწორედ ღრუბლებიდგან გამოსულს მთვარესა ჰგავდა. ლამაზი და წყნარი იყო, როგორც ის ობოლი ვარსკვლავი, რომელიც ღრუბლებით აჰრელებულს ცაზედ ციმციმებს ხოლმე, მაგრამ უტოლ-უამხანაგო სიბრალულს უფრო აღუძრავს ადამიანს, ვიდრე აღტაცებასა.

რად უყვარდა ქეთოს ასე გაგ[illegible]ბით ის კაცი, რომელიც მას სი[illegible]ცხლეს უმწარებდა? სწორე მოგა[illegible]ნოთ მე ვერ ამიხსნია ეს კითხვა, ერთის მხრით მეტიც არის ამ საკითხავის ჩამოგდება. უყვარდა იმიტომ რომ მოსწონდა და მოსწონდა კიდეც იმიტომ, რომ ალბად რამე თავისებური, ქეთოსთვის გამოურკვეველი, მაგრამ ბუნებისაგან ამ ორი არსების შემაერთებელი სიმი მოიპოვებოდა ანდრიას გულში, რომ ქეთოს გული ასე მაგრად მიეჯაჭვა მის გულს. შეიძლება ქალწულობა და პატიოსნ[illegible] აკავშირებდა ამ ორს ხასიათით მიმართულებით სხვა-და-სხვა გვარ[illegible]სებათა!

(დასასრული იქნება)

მობს, რომ ახალი პრეზიდენტი თავისს მოადგილეზედ უკეთესი არ იქნებაო. კასსა...ი აცხადებს, ფორი მხოლოდ თვისის არარაობისათვის იქმნა ამორჩეულიო. „Saleil“-ი ახალის პრეზიდ...საგან შემრიგებელ პოლიტიკას მოელის.

**

...ნციებიდგან იტყობინებიან, რომ ...კორის პრეზიდენტად არჩევას ...იამოვნებით მიეგებნენო.

...ის არჩევანის წინააღმდეგ პარ...მენტის სოციალისტთა ჯგუფმა ...ვავე მანიფესტით მიჰმართა ამომ...ველებს. ამ არჩევანს თანაგრძნო... მოეპყრნენ სარესპუბლიკო და ...ძიერების დამცველი ჟურნალები. „...al des Débats“-ი ფორს ლი...იურ, ზომიერების მიმდევარ, ნა...ელის გონების პატრონ კაცადა სთვლის და ამავე დროს მტკიცე ხა...ათისაც არისო; კონგრესმა საფრან...ის ბედი სწორედ კარგის კაცის ხელში ჩააგდოო. „Figaro“ ამბობს, რომ ამისთანა კაცის პრეზიდენტად ამორჩევა, როგორიც ფორია, სახელდობრ: ზომიერი, პატიოსანი და შრომის მოყვარე, ყველასაგან სიამოვნებით იქმნება მიღებული, ვისაც კი თანხმობა და მშვიდობიანობა ჰსურსო. „Siècle“ ამტკიცებს, რომ ფორი მთელს პარლამენტში ყველაზედ მეტად იყო მოსარჩლე ვაჭრობის თავისუფლებისაო. „Soleil“-ი ამბობს, ...ონგრესი ძალიან გონივრულად მოიქცა, რომ ფორი აირჩიაო, რადგანაც ფორი თავდებია წესიერებისა შინ...ან საქმეებში და გარეშე სახელ...წიფოების მხრივაც პატივისცემას დავიმსახურებთო. რადიკალური და სოციალისტ...ა გაზეთები ამბობენ, რომ ფორის ამორჩევა რესპუბლიკის გამოურკვეველს მდგომარეობას არაფრით შესცვლისო. „Lanterne“ ამბობს, რომ ფორის პრეზიდენტად არჩევა მრავალს ცვლილებას გამოიწვევსო. „Petite Republique“ ამბობს: ახალი პრეზიდენტი უფრო სახელით არის, ვიდრე სახრავითაო. სოციალისტთა დასი სრულიად არა სწ...ს ამ არჩევანის გამო, რადგანაც ფორს არც ხასიათი აქვს შესანიშნა... არც თუ სხვაფრივ არის დიდი რამეო.

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ამ დღეებში ქ-ნმა მანასეინისამ დასტამბა თავისს ახალი თხზულება „Основы воспитанія“.

იმ დროს, როდესაც თითქმის ყო...ის მხრივგან გაისმის, რომ თა...დროვე აღზრდა სუსტსა და ცხო...ბისათვის მოუმზადებელს ახალ...ობას ზრდისო, მანასეინის წიგნე...ბა წიგნები დიდი საუნჯეა.

...ავისს თხზულების პირველს ნა...ლს ქ-ნი მანასეინისა ბავშვის სარ...მუნოებრივ აღზრდასა სწირავს, და ...ზრახვა აქვს სხვა თხზულებებში ...ოსთქვას თავისი აზრი კაცის ჭკუ...ა, მეხსიერებისა, თვით-მცნობე...ლობისა, ოცნებისა და სხვ. თვისე...ბათა განვითარების შესახებ. რასაკვი...რია, ამ შრომაში არ არის დავი...ული ფიზიკური აღზრდაც, რო...ც ამ ბოლოს დროს თითქმის ...ებულია.

...ულების დანარჩენს ორ ნაწილში განმარტებულია ისტორია სწავლა აღზრდის სხვა-და-სხვა სისტემისა და განსაკუთრებით უნივერსიტეტის სწავლის სისტემისა.

უჩვენებს-რა, რომ სწავლა აღზრდისაგან არ უნდა იყოს განცალკევებული, რადგანაც ერთმანეთს შორდება ოჯახი, სასწავლებელი და ცხოვრებაო, ქ-ნი მანასეინი ყოვლის უწინარესს აღზრდის მნიშვნელობას განმარტებს. ეს მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ კაცი ცხოვრების გაჭირვებასთან საბრძოლველად მოემზადოს. ამ თვალთახედვის ისრით ალჭურვილი ქ-ნი მანასეინისა არჩევს და იკვლევს აღზრდის სხვა დარგთა საფუძველსა. აღზრდასა და ცხოვრებასთან საბრძოლველ დარგად ავტორი სარწმუნოებრივ აღზრდას ასახელებს. „ღვთის სახელი და მისი წარმოდგენა ბავშვს პატარაობიდგანვე უნდა შთააგონოთო, მხოლოდ მაშინ მიეცემა მტკიცე ნიადაგი იმის აღზრდას და მიხვდება, რა გარჩევაა წარმავალსა და დაუსრულებელ მიზეზთა შორისო“. უჩვენებს რა იმას, თუ რა დიდი და კეთილის მყოფელი გავლენა აქვს ქრისტეს სარწმუნოებას აღზრდაზედ, ავტორი გულ-მხურვალედ იცავს ეროვნებას სარწმუნოებაში.

თითოეულის ერის ცხოვრებას განსაკუთრებული თვისება და მიმდინარეობა აქვს. ამიტომ აღზრდა უნდა შეესაბამებოდეს ერის ცხოვრებას და ახალი თაობა უნდა იზრდებოდეს თავისის ეროვნების იდეებით, იდეალებით და სარწმუნოებით. „Основы Воспитанія“-ში განმარტებულია სისტემა სარწმუნოებრივ აღზრდისა, თანამედროვე სასწავლებელში საღმრთო წერილის სწავლება ისევ მამაპაპურს ნიადაგზედ არის დაყენებული, ყველაფერი იცვლება და ეს ცოცხალი საგანი კი ისევ ძველ ჩარჩოებში ზის.

ქ-ნ მანასეინის აზრით, 7—8 წლის ყმაწვილმა საკმაოდ მარტო მცირედი ცნობები იცოდეს სარწმუნოების შესახებ, მხოლოდ უნდა სცდილობდნენ სარწმუნოებრივი გრძნობა გაუღვიძონ. საჭიროა, რომ ბავშვს ყველა უყვარდეს სარწმუნოების და ეროვნების მიუხედავად. ჩვენს სასწავლებელში საღმრთო სჯულის სწავლება ისე მიდის, როგორც სხვა საგნებისა. ეს გარემოება არ მოსწონს ავტორს და ამბობს, რომ ამ საგნის სწავლება არ უნდა ფასდებოდეს არც ნიშნებით და არც ჯილდოთი, არამედ იგი უნდა შეიცავდეს საუბარს საღმრთო სჯულის მასწავლებლისა და მოწაფეების შორის და თუ მოსწავლეები მოზრდილები არიან, მაშინ ყურადღება სარწმუნოების სიმბოლიურს და ფილოსოფიურს მხარეს უნდა მიექცეს. კარგი იქნება, რომ ამ ხანში მოსწავლეებს გააცნონ ღვთის-მსახურება და ღვთის მეტყველებაო. ამ გვარად ეროვნულ სარწმუნოების წვრილმანსაც დიდს ყურადღებას აქცევს, მხოლოდ ორი რამ არ მოსწონს ინდიფერენტიზმი და ფანატიზმი. იმისდა მიუხედავად, რომ მანასეინის შრომა აჭრელებულია და სხვა დასხვა მოსაზრებას შეიცავს, მაინც დიდი საუნჯეა საპედაგოგიო ლიტერატურისათვის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 იანვარი

**მოსკოვი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და მათის უდიდებულესობის ქორწინების გამო 10 ათასი მანეთი გადასდო იმ ღარიბ სასძლოთა სასარგებლოდ, რომელნიც დაინიშნენ და გათხოვდნენ 1894 წ. 14 ნოემბრიდგან 1895 წლის 14 იანვრამდე.

**სოფია.** ვენის კაბინეტმა უარჰყო ახალის აქციზის შემოღება. ნაჩევიჩმა სთხოვა ავსტრიის მთავრობას პროტესტი არ მიიღოს და ამასთანავე აცხადებს, რომ, თუ ავსტრო-უნგრეთი არ შეიწყნარებს იმის თხოვნას, მაშინ სტოილოვის სამინისტრო სამსახურიდგან გადადგებაო.

**პარიზი.** ფორიმ დაიყოლია ბურჟუა და ურჩევს კვლავ ეცადოს სამინისტროს შედგენას.

**ათინა.** სამინისტრო სამსახურიდგან გადადგა.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ცურბოვიჩი** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაშეტიანცი,** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

მეფე დავით აღმაშენებელი

**და იმისი დრო**

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

ფასი ორი აბაზი

# „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს. ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

# დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან.

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება.

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.);

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ სმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემებს ნავთ-სადგურებზედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Января 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.